დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109242123**
თარიღი:**30/07/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოსათვის'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 23.07.2024 წლის №108-1082420563 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქუჩა №41-ში მდებარე შენობის (ს.კ.82.01.42.021) პირველ სართულზე მდებარე 37,23 კვ.მ, არასაცხოვრებელი ფართი, ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს''.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი